საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 12 სექტემბერი 2017წ

ბრძანება №01-08/72

ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) სუბსპეციალობის პროგრამაზე („პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“) მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის (№02/21389 05.04.2017წ.) წერილის, სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2017 წლის 29 აგვისტოს № MES 0 17 00983085 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მისაღები კონკურსი რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) სუბსპეციალობის პროგრამაზე -,,პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“ მიღების მიზნით.

2. კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2017 წლის 11 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათლით, 10სთ–დან 17სთ–მდე.

3. სუბსპეციალობის პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდეს აკრედიტაციით დადგენილი ოდენობის (კვოტა - 3) ფარგლებში.

4. კონკურსანტთა რაოდენობა თუკი, გადააჭარბებს დადგენილ ოდენობას, საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.

5. სუბსპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემული იქნეს კონკურსის შედეგების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

7. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში(ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30)

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**